

უაკ 551. 485.215

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები სვანეთის საკურორტო ზონაში კატასტროფული ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით

ს. გორგიჯანიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.


საქართველო გამოირჩევა თავისი ტურისტული პოტენციალით. მისი ბუნებრივი პირობები და ასევე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირშესანიშნაობები ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარებას. რომელთა ათვისება ინტენსიურად 1960 წლიდან დაიწყო. აშენდა მრავალი ტურისტული ობიექტი, რომელიც ემსახურებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე შემოსულ ტურისტებს. იმ პერიოდში მთავარი მოთხოვნები ტურისტული ობიექტების მიმართ იყო: ა) ტერიტორიის საკურორტო-ტურისტული მეურნეობა; ბ) მატერიალური დარგები სრულად და მნიშვნელოვნად მომსახურებოდა ტურისტებს; გ) ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი უნდა ყოფილიყო ჩაბმული ამ ტურისტულ მეურნეობაში;

როგორც ცნობილია, საქართველოში პირველად შვიდი ტურისტული რაიონი შეიქმნა: აფხაზეთი, აჭარა, კოლხეთი, შოვი-უწყრა, ბორჯომ-ბაკურიანი, თბილისი და აღმოსავლეთ კავკასიონი. მოგვიანებით ზოგი რაიონი გაფართოვდა. [1]

1990 წლამდე ყველა ეს რაიონი ჩართული იყო ტურისტულ საქმიანობაში. თუმცა ამავე პერიოდში აუთვისებელი იყო სხვა ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიები. ასეთი რეგიონები იყო: რაჭა (გარკვეული ნაწილი), მესხეთ-ჯავახეთი, სამაჩაბლო და სვანეთი. ამ რეგიონების ტურიზმის ბიზნესში ჩაბმა კი წარმოადგენდა მნიშვნელოვან წინსვლას ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამიტომ ამჟამად ტურიზმის განვითარების პოლიტიკა მიმართულია იმისკენ რომ სრულად იქნას ათვისებული და დატვირთული ტურისტული ობიექტებით - სასტუმროებით, საოჯახო სახლებით, ჰოსტელები, კემპინგები, სანატორიუმები და ა.შ.

პირველი რეგიონი რომელიც ათვისების და განვითარების პროცესშია ეს არის სვანეთი, რომელსაც უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია.

თუ დავვერდნობით ისტორიულ დოკუმენტებს აღმოჩნდება რომ თვით თამარ მეფე აქ ზაფხულშიც და ზამთარშიც სასურველი სტუმარი იყო. ეს კი იმის მაჩვენებელია რომ კუთხის ტურისტულ პოტენციალზე საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ორიენტირება. ამჟამად რეგიონში მიმდინარეობს მრავალი ტურისტული ობიექტის მშენებლობა, გაკეთდა საავტომობილო მაგისტრალი.



ფოტო 1, 2. სეტი (მესტიის რაიონი)

თავად სვანეთი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს და საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხეა. იგი დასავლეთიდან ისაზღვრება კოდორის (სვანეთ-აფხაზეთის), სამხრეთიდან - სამეგრელოსა და ლეჩხუმის, ჩრთილოეთიდან - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედებით. ადმინისტრაციულა მოიცავს მესტიის და ლენტეხის რ-ებს. ეს მონაკვეთი ცნობილია სვანეთის კავკასიონად. მისი სიგრძეა 125 კმ კოდორის ქედიდან ფასის მთამდე. კავკასიის თხემური ნაწილი თანდათან მალდება აღმოსავლეთისაკენ და მაქსიმალურ სიმაღლეს შხარას რაიონში აღწევს. სწორედ აქ არის თავმოყრილი კავკასიონის მთავარი ქედის უმაღლესი მწვერვალები: გისტოლა, თეთნულდი, ჯანდა, შოთა რუსთაველი, შხარა, ნამყვანი, აილამა, წურუნგალა და სხვ. ამ მონაკვეთშივეა განლაგებული კავკასიონის სამხრეთ ფერდობის უგრძესი და უდიდესი მყინვარები: ლეხზირი, წანერი, ტვიბერი და სხვ. სვანეთის კავკასიონის ტერიტორიაზეა ცნობილი 18 უღელტეხილი. კავკასიონის სამხრული განშტოებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვანეთის ქედი, რომელიც მთავარ ქედს გამოეყოფა მ. ნამყვანიდან და ბოლოვდება სოფ. ხაიშთან. მისი უმაღლესი მწვერვალია - ლაჰილი (4010მ). თანამედროვე მყინვარები

ძირითადად თავმოყრილია სვანეთის ქედის ცენტრალურ ნაწილში, მათი საერთო რიცხვი 30-მდეა. მთავარი მდინარე სვანეთის ტერიტორიაზე მდ. ენგურია, რომელიც გამოირჩევა თავისი ენერგო პოტენციალით, ბუნებით და ხეობის რელიეფური სირთულით. შხარისა და ენგურის მყინვარების ბოლოდან ენგურის ხეობა სუბმერიდიანული მიმართულებისა და 12-15 კმ მანძილზე ტროპულ ფორმას ინარჩუნებს, სოფ უშგულის ქვემოთ – 2,5 კმ. მდ. ენგურს მრავალი შენაკადი ერთვის, რომელთაგან აღსანიშნავია მულახის ხეობა. იგი ძირითადად განედური მიმართულებისა და მასში თავს იყრის ტვიბერის და წანერის მყინვარებიდან ჩამონადენი ნაკადები. [3]

ყოველივე აქედან გამომდინარე სვანეთის ტერიტორია წარმოადგენს საკმაოდ საშიშ ზონას სტიქიური მოვლენების მოქმედებისათვის. აქ ფიქსირდება როგორც წყალდიდობები და მეწყერული ჩამოსვლები, (ფოტო 1.) ასევე ქვათაცვენები და თოვლის ზვავების (ფოტო 2.) ჩამოსვლები.



ფოტო 1. ბეჩო-მესტიის გზის ონაკვეთი

ფოტო 2. სვანეთის ზვავში ზონა (თეთნულდი-ადიში)

საქართველოში ბოლო დროს გახშირებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაინგრა 225 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ლენტეხის რაიონში 75, ცაგერში 37, მესტიის რაიონში 94, ონის რაიონში 2 და ა.შ.

ზემო სვანეთი კი გამოირჩევა წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების სიხშირით. აქ არის გავრცელებული მეწყერები, ქვათაცვენები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები; ზამთრის პერიოდში ზვავები. ზვავ შაში ზონები მოცემულია სოფ. ლუხიდან დაწყებული ხაიში-ჭუბერის მონაკვეთებამდე [2]. აღსანიშნავია რომ ყველა ამ პროცესს ხელს უწყობს კლიმატური პირობები და ამასთანავე ანთროპოგენური ფაქტორები. ყოველი სტიქიური მოვლენის გავრცელების ზონა საშუალო და მაღალ მთიანი რეგიონებია.

სტიქიური მოვლენები წყალდიდობის სახით დიდი მასშტაბით მოხდა 2003 წელს რამაც დიდი ზიანი მიაყენა მესტიის რაიონს. ხოლო 2011 წელს მთლიანად მოიცვა მულახი-ჟაბეშის ტერიტორია, მდ. მესტიაჰალა. გადაკეტა გზები. დაანგრა მდინარეებზე არსებული ხიდები, საცხოვრებელი სახლები. (ფოტო 3, 4) საბედნიეროდ მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა, თუმცა გაანადგურა მრავალი სათიბ-სადოვარი ტერიტორიები.

სტიქიური მოვლენების მიუხედავად რეგიონში გაგრძელდა მუშაობა და გაკეთდა სამთო-სათხილამურო ტრასა _ ჰაწვალა-ზურულდი, რომელიც ემსახურება მრავალ ტურისტს; (I ტრასისი სიგრძე 1900 მ, ხოლო II - 2565 მ), ტრასა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით არის გამართული. საწყის ნიშნულზე (სტარტი 2350მ) აშენდა რესტორანი.

მნიშვნელოვანია, სვანეთის რეგიონში წარმოდგენილი ტურისტული მარშუტები, რაც სანხაობრივად ფართო სპექტრს მოიცავს. ტურისტს შეუძლია ჩასვილიდან პირველ დღეს მოინახულოს დაბა მესტიის ღირშესანიშნაობები, მუზეუმები, მყინვარები, გაშლილი ველები, სოფლები, სადაც ყველაზე მეტი სამონასტრო კომპლექსებია წარმოდგენილი (ბეჩო, უშგული, მულახი). (ფოტო 5, 6) საკმაოდ კარგად არის შეთანაწყობილი ძველი და ახალი სვანეთი, რაც ტურისტულ რეგიონს უფრო მიმზიდველს ხდის. თუმცა აქ აუცილებელია გათვალისწინებული იყოს სტიქიური მოვლენები, რომელებიც სწორედ ამ მარშუტებზე განმეორადობით ხასიათდებიან წლის განმავლობაში.



ფოტო 3. მულახი – ჟაბეშის მონაკვეთი. მდ. მესტიაჭალა

ფოტო 4. მდ. ენგურის ხეობა



ფოტო 5. სოფ. მულახი



ფოტო 6. უშგული

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საჭიროა და მიზან მიმართულია შესწავლილი იქნას ყველა სტიქიური მოვლენა, რომელიც ამ რეგიონში ხდება წლის განმავლობაში. მათი მექანიზმები და სიხშირე. არსებული ცნობები მოგვცემს პროგნოზს მომავალში ყოველი წლის სეზონების მიხედვით ინტენსივობას სტიქიური მოვლენების მაჩვენებელზე. რაც დადებითად აისახება რეგიონის განვითარებაზე - ტურიზმის განხრით. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სამეურნეო მიწების არასწორი ათვისება, მიწის ეროზია და სხვა ეკოლოგიური პრობლემები.

ლიტერატურა _ REFERENCES _ ЛИТЕРАТУРА

1. მასურაძე დ. ხუცუშვილი თ. ხომერიკი გ. ვერბეცვი ი. "ტურიზმის შესავალი" თბილისი გვ. 192. 2010.
2. სალუქვაძე მ. "ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. გვ. 67. 2011
3. "საქართველოს გეოგრაფია" - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ვ. ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. გვ. 270-277. 2000

უაკ 551. 485.215

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები სვანეთის საკურორტო ზონაში, კატასტროფული ბუნებრივი მოვლენების გათვალისწინებით /ს. გორგიჯანიძე/ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2014, ტ120. გვ.45-48 - ქართ.; რუბ. ქართ., ინგლ., რუს.

საქართველო გამოირჩევა თავისი ტურისტული პოტენციალით. მისი ბუნებრივი პირობები და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირშესანიშნაობები, ხელს უწყობს უფრო განვითაროს მისი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები. 2010 წლიდან მასიურად დაიწყო, ტურისტული რესურსის სრულად გამოყენება, რამაც გამოიწვია სვანეთის ისტორიული კუთხის ახალი სახით დანახვა მსოფლიოს ასპარესზე. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს რომ სვანეთი გამოირჩევა, არა მარტო მისი ბუნებით და ღირშესანიშნაობებით, არამედ რთული და მარავალფეროვანი რელიეფით, კლიმატური პირობებითა და შიდა წყლებით. სვანეთში წარსულში და დღესაც მიმდინარეობს ისეთი კატასტროფული მოვლენები, როგორცაა: თოვლის ზვავები; მეწყერები;

წყალდიდობები და ქვათაცვენები. ამგვარი პროცესები ზიანს აყენებს, როგორც სოფლის მოსახლეობას, ასევე მათ სასოფლო სავარგულეზსაც. ამჟამად კუთხე გამოირჩევა ტურისტული აღმავლობით, რაც განაპირობებს სტიქიური მოვლენების შესწავლის უფრო დეტალურ და ძირფესვიან გამოკვლევას. აუცილებელია განხილული იყოს ყველა მოვლენა და ჩატარდეს, ის საჭირო ღონისძიება, რომელიც შეარბილებს სტიქიური პროცესების განვითარების ტენდეციებს და საკურორტო ზონა უფრო მეტად იქნება დაცული.

UDC 551. 485.215

PERSPECTIVES FOR THE DEVELOPMENT OF TOURISM IN THE RESORT AREA OF CATASTROPHIC NATURAL EVENTS OF SVANETI /S. Gorgijanidze/ Transaction of the Institut of Hydrometeorology, Georgian Technical University.-2043,-T.120. pp.45-48- Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

Georgia is significant for it's spec significant for it's special supply of tourism. It's natural conditions, historical-ethnographic noteworthy sites, contribute to develop it's recreative resources. Since, 2010 it has been massively started using tour resources wholly, which caused to notice Svaneti from historical view all over the world. However, Svaneti isn't only special for it's nature and noteworthy, but also with it's complex and varied relief, with it's climate conditions and inner waters. In past, as well as today, there are some natural disasters in Svaneti, such as; avalanches, landslide, inundations and stone shed. These kind of processes, harms inhabitants of village, as well as their country arable lands. Currently, the place (Svaneti) is distinguished from the other parts of Georgia for it's tour development, which stipulates more detail and fundamental research . It's necessary to discus all kinds of events and to take all measures in order to mollify the process, as well as tendencies of developing natural disasters and a health resort will be more protacted.

УДК 551. 485.215

ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ТУРИЗМА В КУРОРТНОЙ ЗОНЕ СВАНЕТИИ С УЧЁТОМ КАТАСТРОФИЧЕСКИХ ПРИРОДНЫХ ЯВЛЕНИИ /С. Н. Горгиджанидзе/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. -2014, т.120с.45-48 Груз. Рез. Груз., Англ., Рус.

Грузия особая страна своим туристическим потенциалом. Природные условия и природно-этнографические особенности способствуют развитию туристо-рекреативных ресурсов. С 2010 года началось полное использование ресурсов, что дело возможность рассмотрения Сванетской исторической области с новой стороны. Хотя, здесь же надо отметить что Свнети характеризуется не только неповтаримой природой и историческими особенностями, но и своим сложным многообразным рельефом, климатическими условиями и внутренними водами. В Сванетии как в прошлом, так и сейчас происходят такие катастрофические явления, как снежные лавины, завалы и камнепады, что наносит ущерб местному населению. В данное время Сванетия пользуется повышенным уристическим интересом. В связи сэтим остро стоит вопрос более деталнного и основательного изучения стихийных явления. Необходимо рассмотреть все явления и провести соответствующие мероприятия для смягчения стихийны процессов, чтоб лучше зашетит курортню зону.